№ 214 ოქტომბერი 5, კვირა 1886 ოქტომბერი 5 კვირა № 214

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველგვარ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტფილისის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ქართული თეატრი

დღეს, 5 ღვინობისთვეს

„ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ დასისაგან წარმოდგენილი იქნება არწრუნისეულ თეატრში:

I

ბედნიერი დღე

კომედია სამს მოქმედებად, ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა.

II

ოინბაზი

ვოდევილი ერთს მოქმედებად, ა. ცაგარლისა.

III

დივერტისმენტი

ლექსებისა და სცენების კითხვა.

მონაწილენი: ქქ. გაბუნია, საფ.-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქოვისა; ბბ. აბაშიძე, აწყურელი, ალექსეევ-მესხიევი, გუნია და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზედ.

ტფილისი, 4 ოქტომბერი

ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლოს ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გახსნია და ამის გამო ჯერ ყურადღება საზოგადოებისა და მთავრობისა არ მიუქცევია. ეს მოვლენა თუმცა ჯერ კანტი-კუნტად, აქა იქ იჩენს თავს, მაგრამ მუდამი მიზეზი, რომელიც მას იწვევს, ისეთია, რომ დღითი დღე მეტს ადგილს დაიჭერს ჩვენს ქვეყანაში და დღითი დღე უფრო გაძლიერდება. ჩვენ ვამბობთ მამა-პაპის ადგილიდამ აყრაზედ და სხვაგან გახიზვნაზედ მამულების საშოვრად. უმთავრესი მიზეზი ამისთანა მოვლენისა ყველგან ერთი და იგივე ყოფილა: გამრავლება ხალხისა და ვიწროობა ადგილ მამულისა. თქმა არ უნდა, რომ რაკი ამ მოვლენამ ფეხი აიდგა იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა მკვიდრი, ერთხელ ერთს ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და მიწა-წყალსა, დიდის სიმძიმით და გულის ტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა უმოქმედია, ოფლი და სისხლი უღვრია მამა-პაპასა, საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასხსრულ საცა დამარხულან; საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელისაღება ჩვენის გლეხ-კაცისა, თუ კეთილ-შობილისათვის ხორციელ სიკვდილზედ ნაკლები აღარ არის, იქ მამა-პაპისაგან დაშენებულის, დადებულის ბინის აშლა, აგვა, გათახსირება და სხვაგან ძებნა ბედისა,—იქ აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება-რა, აღარა ეშველება-რა.

ერთი ამისთანა მიზეზი, როგორც ზემოდა ვსთქვით, ადგილ-მამულის ნაკლებობაა. ჩვენ არა გვგონია ჩვენებურნი მკვიდრნი სხვა რაიმე მიზეზმა დასძლიოს და მამულის ბინიდამ იძულებით აჰყაროს. ჩვენებური მკვიდრი ყოველ-გვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველ-გვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლად შემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან. იმიტომ-რომ სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი, რომლის გაძლებასა და მოთმინებასა ბუნებითვე აქვს დადებული სამზღვარი და ამიტომაც უღონოა ამ გვარის ჭირილისათვის. როცა სიცოტავე ადგილ მამულისა ვეღარ უძღვება ხალხს, როცა ვეღარა ჰკვებავს, მაშინ სხვა რა გზაა, თუ არ აყრა და სხვაგან ძებნა ახალის ბედისა.

ამ მოვლენამ ყველაზედ უწინ თუ არა, ყველაზედ შესამჩნევად მაინც თავი იჩინა რაჭაში:—აყრა, მამულის ბინის მოშლა და სხვაგან გადასახლება აქ დაიწყო იმ ზომით, რომ შეუძლებელია კაცმა ყური არ ათხოვოს. პირველი შემთხვევა გადასახლებისა მოხდა 1879 წ. ამ წელიწადს აყრილა და გადასულა ალაგირში*) მარტო ერთი კაცი ონიდამ. მერე 1880 წ. ეს აყრა და გადასახლება გახშირდა ასე, რომ 1882 წლის დალევამდე 120 კომლი გადასულა.**) ამ ცნობების შემკრებელი ამბობს, რომ ასეთი გაძლიერება გადასახლებისა უნდა მიეწეროს სხვათა შორის იმასა, რომ 1882 წელს რაჭაში დიდი მოუსავლობა იყო და შიმშილმა ბევრი აიძულა გადასახლებადაო. რასაკვირველია, ამ ფათერაკად მოვლენილს შემთხვევასაც შეეძლო სხვათა მიზეზთა შორის ემოქმედნა გადასახლების გაძლიერებაზედ, მაგრამ მუდამი მიზეზი კი მაინც სხვა არის. სამწუხაროდ ჩვენდა, წიგნი, საიდამაც მოგვყავს შემდეგნი ცნობანი, შეეხება მარტო სახასო გლეხ-კაცობას და სხვა მკვიდრთა ეკონომიური ყოფა-ცხოვრება გამოუკვლეველად არის დარჩენილი, რადგანაც პროგრამაში არ იყო შეტანილი, მაგრამ იგი ცნობანი იმოდენად საგულისხმონი არიან, რომ შესაძლოა უტყუარი დასკვნა გამოიყვანოს კაცმა ამ გადასახლების სამუდამო მიზეზის თაობაზედ.

დღეს რაჭაში სახასო გლეხნი ირიცხებიან 2130 კომლი და ამათში სულ 17,429 სულია ორისავე სქესისა. ტყე რომ გამოვადეთ, გამოვა, რომ სახლ-კარის ადგილი, სახნავ-სათესი, სავენახე და საძოვარი, რომელიც ამოდენა სულის ხელშია, სულ 4765 დესიატინას შეადგენს. თვითო კომლზედ მოდის თითქმის 2¼ დესეტინა და თითო სულზედ ¼ დესეტინაზედ ცოტა მეტი. აშკარაა, რომ ასეთი სიცოტავე ადგილ-მამულისა ვერ გაუძღვება ამოდენა ხალხს, ვერ იშვნევს და ვერ მოითავსებს. ამ სიცოტავეს ისიც დაუმატეთ, რომ რაჭის მიწები მეტად მწირნი და უღონონი არიან. ნაფუზრებს გარდა სხვა მიწებს 10, 15 და 20 წელიწადი შესვენება უნდა თურმე ზოგიერთს ადგილას, უამისოდ არავითარს მოსავალს არ იძლევიან. ამ სიცოტავეს მამულებისას ის მოჰყვა, რომ ზემო რაჭაში ერთი-ქცევა (900 ოთხ-კუთხი საჟენია) სასახლის ადგილი 100—200 მანათამდე ჰფასობს, ონში—500—1000 მანათამდეა, ნაფუზარი 100—220 მანათამდეა და ისე სახნავი 40—100 მანათამდე. ამისთანა ფასები პირდაპირ გვანიშნებენ, სად უნდა ვეძებოთ სამუდამო მიზეზი გლეხთა გადასახლებისა რაჭიდამ.

თუ ეს სამუდამო მიზეზი არ მოისპო, გადასახლება რაჭიდამ იმ ზომამდე მიაღწევს, რომ ბოლოს დიდად საზრუნველი საგანი შეიქმნება მთავრობისა და საზოგადოებისათვის, როგორც დღეს შექმნილია რუსეთისათვის. ჩვენის ფიქრით, ღონისძიება არის რაჭას ამ მხრით ეშველოს რამე. რაჭაში, საცა მკვიდრნი ამისთანა გაჭირებაში არიან უმამულობის გამო, ამავე დროს 46,501 დესეტინა ტყეა, რომლის მომეტებულს ნაწილს სახასოდ ჩემულობენ. თუმცა ტყენი მთებზედ და ფერდობებზედ უფრო ბევრი იქნება, რადგანაც რაჭა უფრო მთიანია, ვიდრე ვაკიანი, მაგრამ ძნელად საფიქრებელია, ამოდენა ტყეები იმისთანა ადგილებზედაც არ იყოს, რომ შესაძლო იყოს გაიკაფოს, ახოები გამოიღოს და ნაკლებულობა სახნავ-სათიბისა ამით შეივსოს. შრომის მოყვარეს და დაუზარებელს რაჭველს რომ ამისი ნება დაუთმოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, დღეს ვერაფერში გამოსარჩენს ტყის ადგილს ხუთ ექვსს წელიწადში რაჭველი წალკოტად გადააქცევს; თვითონაც

---

*) ალაგირი ერთი პატარა ადგილია თერგის ოლქაში, არდონის წყლის ახლო. აქ არის ვერცხლის მადანი და ქარხანა, რომელიც, თუ არა ვცდებით, დღესაც მოქმედებაშია.

**) Матеріалы для изученія экономическаго быта Государственныхъ крестьянъ Закавказскаго Края· томъ II, გვერდი 93· ყოველი ციფრეული საბუთი, რაც ამ წერილში იქნება, ამ ყოვლად შესანიშნავ წიგნიდამ მოგვყავს.

ფელეტონი

ეჰ! რა დროს ლხინია!

ერთი ფილოსოფოსი დაესწრო ლხინში. ღვინო დააძალეს. ჯერ კი უარზე იდგა: „მეტი აღარ შემიძლიანო!“ მაგრამ ბოლოს, ზოგი თხოვნით, ზოგიც მუქარით, მომეტებული დაალევინეს და ისე გამოათვრეს, რომ საბრალოს გათენებამდე აღარა გაუგია-რა: უგრძნობლად ეგდო. ალიონზე რომ გამოფხიზლდა, შერცხვა, შეჯდა თავის სახედარზე და გამოიპარა სახლისკენ. გზაზე ერთს მდინარეს მიადგა. ვირს თურმე წყალი ჰსწყუროდა, დაეწაფა და მანამდი სვა, სანამდი გული არ იჯერა; რომ გაათავა და თავი მაღლა აილო, ფილოსოფოსმა უთხრა: «აბა, ჩემო ვირო, დალიე კიდევო!» ვირმა ყურიც აღარ გააპანტურა. „თუ გიყვარდე, მიირთვიო!“ ვირი არ გაინძრა. „თუ ჩემი პატივის ცემა გაქვს, ერთიც კიდევ დალიეო!“ ვირი ყურს არ უგდებდა. „თუ არ დალევ, დიდად მაწყენინებო...“ ერთის სიტყვით, ყველა ის სიტყვები უთხრა, რა სიტყვებითაც იმას წინა ღამეს ღვინოს აძალებდნენ, მაგრამ ვირი მაინც ჯინზე იდგა მაშინ. ჩამოხტა ძირს ფილოსოფოსი, თაყვანი სცა ვირს და მოწიწებით მოახსენა: „ფილოსოფოსი შენა ყოფილხარ, რომ რაც არ გინდა, იმაზე მეტს აღარა სვამო; და მე კი ვირი ვარ, რომ გუშინ იმისთანა საქმე ჩავიდინეო!“ ვინ მოსთვლის, რამდენი ვირდება ჩვენში დღესაც ამ ფილოსოფოსის დღეში, მაგრამ, რომ გამოფხიზლდებიან ხოლმე, შენანების მაგიერ, კიდეც ტრაბახობენ: ძალიან დავლიეთ, ისე გავხდით, რომ აღარა გაგვეგებოდა-რაო! და მეორე დღესაც სუნით ეძებენ იმ გვარსავე შემთხვევას. ჩვენში ბევრი ცუდი რამ ჩვეულებაა ამ დროში, მაგრამ ამაზე უარესი კი არც ერთია! . მე ლხინის წინააღმდეგი არა ვარ!.. ვინ ამბობს, თუ არაო?!. აბრაამ მამათ-მთავრის პურ ღვინო ღმერთს უკურთხებია! „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო“, ჰგალობს დავით წინასწარმეტყველი. ხორც-შესხმულმა ადამიანმა დიახაც უნდა იმხიარულოს ხან-და-ხან, მაგრამ ამას ზომა უნდა, რომ კეთილად შეერგოს, თორემ გადაჭარბებულს ნაყროვნობა ჰქვიან, რომელსაც არც ძველი და არც ახალი აღთქმა კეთილად არ იხსენიებს... დიახ... მაგრამ დღეს ვინღა დაეძებს ამ აღთქმებს?!. თავის საკუთარი გულის-ფხანა ყველას საღმრთო კანონად მიაჩნია!!. თუ სტუმარმა არ გადააჭარბა, ღვინის სმით თავი არ მოიკლა, მასპინძელსა ჰსწყინს: «არ მომილხინა სტუმარმაო!» თუ მასპინძელმა არ დააძალა, სტუმარს გული სწყდება: „არ გამიმხიარულდა მასპინძელიო!“ ამ გვარად ორი უგუნურება ერთმანერთს ხელი-ხელს აძლევს და ერთად გამოდიან სამარცხვინო გზაზე.—ვინ მოსთვლის, რამდენ გვარი ხიფათი მოსდევს ამ გვარ ლხინებს!?. ზოგი გაცივდება და კვდება, ზოგი ეცემა და იჩეხება, ზოგი შემდეგში სნეულდება... ამაებს კიდევ დავუმატოთ. . ჩხუბი, დავი-დარაბა, უშვერი სიტყვები, ხანჯლის ტრიალი, მუშტი-კრივი და სხვანი და სხვანი. რომელი ერთი ვსთქვათ!.. ნათქვამია, „ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირი დაამტვრიესო!“ ეს დალოცვილი ბუნებაც ისე ირჯება: რას ერჩის რომ ყურძენს ნაცარს აყრის?.. უმჯობესი არ არის, რომ მათ ნაცვლად, ამ უხეირო მოქეიფეებს დააყაროს თავზე ნაცარიცა და მტვერიც?.. განა ჩვენი ძველები არა ქეიფობდნენ? ჩვენმა წინა-პრებმა მოლხენა არ იცოდნენ? მაგრამ ვის გაუგონია მათი უკუღმართობა ლხინში! იარაღი იმიტომ კი არ ერტყათ, რომ სუფრაზე ერთმანერთი ეჩეხათ და ძმას ძმის სისხლი ეღვარა!.. მტერს იგერებდნენ... მტერს, გარეშე მტერს!.. და ომში სახელოვანნი, შინაც, მშვიდობიანობის დროს, ტკბილ-მონადიმეთ იხსენებოდნენ. იმათ იცოდნენ ავიცა და კარგიც!—დღეს კი გვგონია რომ მოსაწონია ჩვენი ვითომ სალხინო წესები და გარეშე სტუმრებსაც არ ვუმალავთ ამ ჩვენ «სალხინო ჩხუბობას».—ამას წინად ერთი სტუმარი მოვიდა ჩვენში იმ განზრახვით, რომ ჩვენი ველადიდება ენახა, ჩვენი სხვა-და-სხვა ჩვეულებები შეესწავლა. სადაც მივიდა, ყველგან მაშინვე ნადიმი გაუმართეს; დღეს ერთი იწვევდა, ხვალ მეორე, ზეგ მესამე და ამ რიგად ვის სახლშიაც კი შევიდოდა, ყველგან სუფრა დახვდებოდა ხოლმე გაშლილი შუა ოთახში და თანაც კუთხეში სადმე ტაბლა საწუწკრებოთ, რომელსაც „ზაკუსკას“ ეძახიან!.. პირველად რომ ეს ჩვეულება შემოიღეს ჩვენში, ერთმა დარბაისელმა მოხუცმა იკითხა:

— „ეს დიდებული სუფრა ხომ შუაზეა გაშლილი და მაშ ის პატარა ტაბლა კუთხეში რომელი ცოდვის-შვილისათვის დაუდგამთო?“

— ეს „ზაკუსკა“ არის სადილამდის პირის ჩასაგემრიელებლადაო!

— როგორ თუ პირის ჩასაგემრიელებლად?!. აქ სუფრაზე განა ისეთი საჭმელებია, რომ პირს ამწარებსო?

— არაო, მაგრამ მოდა არისო!.. ჯერ აქ უნდა გაისველონ პირი და მერე იმ დიდ სუფრაზე დასხდნენო!.. მიუგეს...

— ვერაფერი მოდა ყოფილა: აქედან იქამდე სულ სამი ბიჯი არ არის და საგზალი რომ არ წავიღო, განა სული წამივაო?!. გაიმეორა მოხუცმა. ეს ამბავი თუმცა ყველას ჰქონდა გაგონილი, მაგრამ მაინც სტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხეირებს და სხვასაც ახეირებს. ამ გზით რაჭველი იძულებული აღარ იქმნება თავისი მკვიდრი ბინა მოშალოს, მაცდურს იმედს ხვალისას მიეცეს, და შინვე მოჰტრიალდება. ეს მით უფრო სასურველია, რომ რაჭველი თავ-შენახული, შრომის-მოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელ-მოჭერილი და ხელ ღონიერი კაცია და ამ თვისებებით ბევრს ჩვენში აღემატება. მეტად სანანური იქნება, რომ ეს ღირსეული და საყვარელი ხალხი ჩვენს ქვეყანაში ვერ მოთავსდეს, ჩვენ გამოგვაკლდეს და სხვაგან დაბინავდეს.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ დილით 10 საათზედა და 52 წამზედ მიწა იძრა ტფილისში, მიწის ნძრევა საკმაოდ ძლიერი იყო. ოთახებში სტოლებმა და ეტაჟერკებმა ძალზედ ნძრევა დაიწყეს. მიმართულება მიწის-ნძრევისა, როგორც ჩვენ შევნიშნეთ, დასავლეთიდამ აღმოსავლეთისკენ იყო.

⁂ გუშინ ქიმიის პროფესორი ბ-ნი პეტრიაშვილი წავიდა თ. ივ. მუხრან-ბატონთან სოფ. მუხრანს იმის მარნებისა და ვენახების დასათვალიერებლად.

⁂ სიღნაღის მაზრიდგან გვწერენ, რომ ბაკურციხეში, იმედი გვაქვს, ჩქარა სასოფლო სკოლა გვექმნებაო. ხალხი ძალიან მოწადინებულია და სამერმისოდ განაჩენის შედგენას აპირობს სკოლის გამართვის თაობაზედაო. სასკოლო სახლის აშენება სოფელს უნდა წმ. გიორგის ეკკლესიის ახლო, საეკკლესიო მამულშიო. ამ ჟამად აქაურმა მღვდელმა მ—ნმა უკვე შეკრიბა ყმაწვილები და თავის სახლში ასწავლის ჯერ-ჯერობით ბავშვებსაო.

⁂ ამას წინადაო, გვწერენ კახეთიდამ, დიდის ნიაღვრების გამო დიდი ზარალი მოგვეცაო: ნიაღვრებმა ზოგს სახლი სულ ერთიანად დაუქცია, ზოგისა ვენახი გააფუჭა და ზოგისა რა და ზოგისა რაო. ამას გარდა გზები სულ ერთიანად დაგვიოლრო ჩოლროვა: ყველგან დახრამა და ღრანტეები გაჩნდაო. მეტად ძნელია ეხლა ჩვენს გზებზე სიარული თუ ფეხითა და თუ ურმითა, მეტადრე ღამ-ღამობითაო. ამის გამო, თუმცა ამ ჟამად გაცხარებულის მუშაობის დროა, მაინც ხალხი ბეგარაზედ მიჰყავთ გზის გასაკეთებლადაო.

⁂ ორშაბათს, 6 ოქტომბერს ტფილისის საქალაქო საბჭოს ექმნება სხდომა და განიხილავს ხხვათა-შორის შემდეგს საგნებს: რა მდგომარეობაშია საქმე საქალაქო მამულების ხელ-ახლად დაფასებისა; აქეთ თუ არა ხმა არჩევნებისა იმ სახაზინო დაწესებულებათ, რომელნიც უძრავს მამულს არა ჰფლობენ, როგორც საკუთრებასა; მოხსენება გამგეობისა, რომ საჩივარი იქმნას გაგზავნილი სენატში სამხედრო საბჭოზედ იმის თაობაზედ, რომ სახელმწიფო ქონებასაც დასაფასებელი გადასახადი დაედოსო; მოხსენება გამგეობასავე ცხენის რკინის გზის გაყვანაზე მნაცაკანოვის ხიდამდე; აზრი ბ-ნის არგილანდერისა, რომ ცეცხლით-მქრობელთ რიგიანი ეტლები ჰქონდეთ; საჩივარი სემიონოვისა გამგეობაზე, რომელსაც არ დაუმტკიცებია იმისი პროექტი აბანოს აშენების თაობაზე და სხვანი.

⁂ ბ-ნს ავქ. ცაგარელს დაუწერია ახალი ოთხ-მოქმედებიანი კომედია, სახელად „ციმბირელი“, რომელსაც ამ ზამთარს წარმოადგენს ქართული სათეატრო დასიო.

⁂ ბაღოსნობის სკოლის შენობის კურთხევას მუშტაიდში სხვათა საპატიო სტუმართა შორის დასწრებია მისი ბრწყინვალება კავკასიის მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. პარაკლისი რომ გადაუხდიათ, აგრონომს ბ-ნს გეევსკის წაუკითხავს ანგარიში სკოლისა, რომელიც გაიმართა გაზაფხულზედ, 1 მაისს. სკოლაში ამ ჟამად ითვლება სულ 32 შეგირდიო. ამათში 12 იზრდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ხარჯით, 15 თავის ხარჯზეა პანსიონში და თითო იხდის 120 მან. წელიწადშიო. დანარჩენნი გარეშე-მოსიარულენი არიან და ჭამა-სმა სკოლაშივე აქვთო. ამ შეგირდებში 15 ქართველია, 10 სომეხი, 5 რუსი და 2 ოსიო. სკოლაში სწავლა იწყება 1 ოქტომბერს და თავდება 1 მარტს. დანარჩენ დროს ყმაწვილები სწავლობენ ბაღის მოვლისა და გაშენების საქმესა, სხვა-და-სხვა ხელობასა და ღვინის დაყენებასაო. ამ სკოლას აზრად ექმნება, რომ მოამზადოს რიგიანად ნასწავლი და გამოცდილი მებაღენიო. სწავლა ამ სკოლაში იმოდენი იქმნება, რამოდენსაც ასწავლიან სხვა ამ გვარს დაბალს სამეურნეო სკოლებშიო.

⁂ 2 ოქტომბერს სომხებს ვერაფერი წარმოდგენა ჰქონიათ. თამაშობდნენ «გაძარცულს ფოსტას»-ო, ამბობს «ნოვ. ობოზრ.», და მარტო ადამიანმა შეასრულა კარგად თავისი როლიო. სხვებმა როლებიც-კი არ იცოდნენო. ხალხი ცოტა დასწრებია ამ წარმოდგენას, რის გამოც ბ-ნი ადამიანი თავსაც არ უკრავდა რიგიანად საზოგადოებას, რომელიც ტაშს არ აკლებდა არტისტსაო. ნუ თუ ის გარემოება, რომ საზოგადოება ნაკლებად დაესწრო წარმოდგენაზედ, ნებას აძლევს არტისტს, ასე კადნიერად მოექცეს საზოგადოებასაო, ჰკითხულობს იგივე გაზეთი «ნოვ. ობოზ.»

⁂ ხევიდამ გვწერენ, რომ 11-ს სექტემბერს, ღამით, ყაზბეგის საყარაულოს ჩაფარმა მ. ჩოფიკოვმა ფოსტა გააცილა დარიელის ციხემდეო. როდესაც ჩაფარი უკან დაბრუნდა, ღამის 12 საათზედ, შეჰხვდა ყაზბეგიდამ გველეთისკენ მე 7 ვერსზედ ხიდის მახლობლივ 4-ს ავაზაკს, რომლებსაც მიუდიოდათ თურმე ნაქურდალი ხარები. ჩ—მა სამჯერ დაუძახა: ვინა ხართ? ქურდებმა ხმა არ გასცეს. შემდეგ თოფი ესროლა და ქურდები გაიქცნენ. ჩ—მა ხარები ყაზბეგისკენ გამორეკა. რამდენიმე ვერსი რომ გამოიარა, ავაზაკებმა წინ უძღლეს და თავ-ჩხუას ხევში გზა შეუკრეს; მიუახლოვდა თუ არა ჩაფარი, უცებ ორი თოფი გავარდა ხევში ჯაგებიდამა. ჩაფარს ვერაფერი ავნეს, მაგრამ ნაბდის ბოლო და კალთა კი გაჰგლიჯა ტყვიამა. ჩ—მა ხარები-კი მაინც ქურდებს არ დაანება; ავაზაკებიც თავისას არ იშლიდნენ თურმე. ამ დროს შემთხვევით „ომნიბუსს“ გამოუვლია. ჩ—ვი და ომნიბუსის კონდუქტორი გამოსდგომიან ქურდებს და ქურდებიც გადაკარგულან. ასე გადარჩენილა ხიფათს ჩაფარი ჩ—ვიო.

⁂ იქიდგანვე გვწერენ: 29 სექტემბერს კობიდამ გაემართა სოფ. თრუსოში სავაჭროდ ორი ტფილისელი მექვაბე: მექვაბეებს თან ორი სახედარი ჰყვანდათ სპილენძეულით დაბარგული: როცა მიახლოვდნენ ერთს საშინელ გასავლელ კლდიანს გზასა, რომელსაც უწოდებენ ყასარასა, დახვდნენ ვიღაც უცნობი ავაზაკი ოსები და გზის თავიდამ დაუწყეს ქვებს გორება; ერთი ავაზაკთაგანი ჩამოვიდა ზევით კლდიდამა და განუცხადა მექვაბეებს: ფული მოგვეცითო, თორემ ამ კლდეზედ გადაგყრითო; მექვაბეებს ჰგონებოდათ, ავაზაკი მარტო ეს ერთი არისო, დაეჭირათ და საშინელი ცემა-ტყეპა დაეწყოთ. ოსმა ყვირილი მორთო და ამ ხმაზედ მოეშველნენ რამდენიმე სხვა ოსები და საწყალი მექვაბეები სულ ერთიანად გაცარცვეს, ასე, რომ მარტო სახედრებილა შეარჩინეს, სხვა ყოველისფერი წაართვესო.

⁂ საინგილოდგან გვწერენ: ამ დღეებში სოფ. ემირჯანლოში ერთი ბეგი დაიკარგაო. რამდენისამე დღის შემდეგ მისი თავ-მოკვეთილი გვამი იპოვნეს ტყეში. გამოძიება სწარმოებსო.

⁂ იგივე კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ ჟამად დიდი სიცივეებიაო, გარეშემო მთები და მთის ძირები დათოვლაო. ვენახები საკმაოდ დააზარალა და ბრინჯებიც სიცივის გამო ნახევრად შემოუსვლელი გაიჭრა და ბევრგან კი სრულიად მოსცდაო. აღელვებულმა მდინარეებმა დიდი ზარალი მისცა ხალხსაო.

* * *

ნაკვესი

აკაკი მასკარადში იყო. მოწყენილი და მოღრუბლილი დადიოდა.

ერთი ბებერ დედაკაცად ჩაცმული „მასკა“ აეკვიატა და საშველს არ აძლევდა:

— რას მოგიწყენია? წამალი მე ვიცი.

— არა, ჩემო კარგო, მკვლის აფთიაქიდამ მე წამალს არა ვსარგებლობ, უთხრა აკაკიმ.

სიტყვა

ვინც უყვართ, ვისაც პატივსა სცემენ და ენდობიან, იმასთან გულ-ახსნილათ არიან ხოლმე და მაშ მეც, ამ აღთქმის მიმდევარს, ნება მიბოძეთ რომ რამოდენიმე სიტყვა მოგახსენო ბატონ პეტრიაშვილს გულ-წრფელად:

სოლომონ მდივანს უთქვამს: „ქვეყნის მოსამსახურედ სარბიელზე გამოსვლა და თავის-თავის ექსორიად მიცემა ერთი და იგივეაო.“ ბედნიერ ქვეყნებში ამ ჭეშმარიტებაში ვერ დაეთანხმებიან, მაგრამ ჩვენში კი ყველას მართლაც მოხვდება გულში. და თუ იმ დროს, როცა მდივანი სცხოვრობდა, ეს მტკიცე ჭეშმარიტება იყო, დღეს, რაღა თქმა უნდა, რომ მრავალ-კეცად უფრო უმტკიცესი იქნება.—მართლადაც, ჩვენში საზოგადო სამსახური თავის გაწირვაა და გამეტებით ზედ ხელის აღება: მაშინ კაცი ყოველ კერძო, საპირადო სიხარულს ჰკარგავს და იბლალება სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმით და ცილის წამებით.—აში ხუთი თუ გამოესარჩლება მაგრამ ისე მკრთალად და გაუბედავად, რომ თითქმის ნახევრად ეთანხმებიანო: ან გაჩუმდებიან.. მაგიერში სხვა მხარეები აქვსთ კარგი და სასარგებლო არიანო.» ეს ცალ-ყბა გამოსარჩლება და იძულებითი დასტური მეგობრებისაგან უფრო გულ-მატკენია, ვიდრე გარეშეების ცილის წამება.—ამ ამბავში ვარდება ყველა ვინც კი საზოგადო სარბიელზე გამოდის.

მხოლოდ ერთად-ერთი კაცია, რომელიც ასცდა ჩვენში ამ საზოგადო უსიამობას. მე მოგახსენებთ ბატ. პეტრიაშვილზე, რომელსაც ყველა

მრებს პირველად საწუწკრის სტოლთან შეჰყავთ ხოლმე და ისინიც სიამოვნებით მისვლის უმალვე «პილატის-ცრემლს» წაუპოტინებენ ხოლმე ხელს. ზედაც რომ „ნოეს-შარბათს“ დაამატებენ ხოლმე, მეტიც აღარ უნდათ, სადილის დასაწყისშივე თვალის ჩინი ეკარგებათ. ამ ყოფაში იყო უსუსტრად რამოდენიმე დღის განმავლობაში. ერთხელ ნადიმი ისე გაჭიანურდა, რომ საღამომ მოატანა; გამოვიდა გარეთ ერთი სტუმარი. მშვენიერი ღამე იყო! ტკბილმა ნიავმა გახურებული შუბლი გაუგრილა და, თუმცა გონება ვერ გამოურკვია, მაგრამ გრძნობა კი შეუთამაშა. მოაგონდა ორმოცის წლის მკვდარი დედ მამა, წარმოიდგინა თავისი ობლობა და დაიწყო ტირილი! გაახსენდა ცოცხალი ცოლი და მოჰყვა გინებას!.. გული რა იჯერა, მერე ამოიოხრა და სთქვა:

ეჰ, ყოველისფერი ტყუილია: დალევ—მოკვდები, არ დალევ—მაინც: მაშ ისევ ისა სჯობს, რომ დალიო და ისე მოკვდეო! ეს რომ გადასწყვიტა, მაღლა ცას შეხედა: მთვარე ნაზად მოსცურავდა და ვარსკვლავები ირგვლივ კაშკაშობდენ... იმას ეგონა, თუ ვარსკვლავებს ან სცივათ და ან სწყურიანთ და დალევის სურვილი აკანკალებსთო... შეებრალა და მიაძახა: მანდ რას კანკალებთ?.. თუ სმა გინდათ, აქ ჩამოდით; ჩვენი მასპინძელი ყველას უსასყიდლოთ ასმევსო!.. აბა ვისაც ჭკუა გაქვსთ, ჩამოდით!.. ვის უნდა, რომ ღვინო დალიოსო?.. აქ, ჩვენმა სტუმარმა, სრულიად ველარა გაიგო-რა,—თვალები აუჭრელდა... ცა დაბრუნდა, დედა-მიწა დატრიალდა და ისიც დაეშვა ძირს და გრძნობით ჩაეკონა დედა-მიწას... ეგონა საყვარელთანა ვარო. ეს იყო მისი უკანასკნელი ქეიფი; მეორე დღეს გამოეთხოვა სტუმართ მოყვარე მასპინძლებს და გაუდგა თავისთვის გზას. რა ნახა? რა გამოიყვლია და რა შეიტყო? არ ვიცით! მაგრამ ერთი თხზულება კი გამოსცა, სადაც სხვათა შორის თავის მასპინძლებსაც ურიგოთ იხსენიებდა: მე მათი ვერა გავიგერა... ჭამის მეტი არა იციან-რა და იმასაც ხეირიანად ვერ ახერხებენო: შემოაქვთ სუფრაზე მოხარშული ხორცი, რომელსაც «ბეჩი» (ბეჭი) ჰქვიანო, თანაც ციცაბელას (საწებელას) მოაყოლებენ და მითი თავდება მათი სუფრაო! მე სხვა თავი საჭმელი არა შემინიშნავს-რაო! ენაც იმისთანა ღარიბი ჰქონიათ, რომ ერთი ლექსით მრავალი საგანი იხატებაო! და სხვანი.. ბევრი ამ გვარი რამ გამოუთქვამს და იმან გაამწარა მასპინძლები!. რა თავი აუგდიაო!.. ამდენი ტყუილი როგორ მოიგონაო? იძახდნენ.. მაგრამ იმას ტყუილი არა დაუწერია-რა! რაც თავის ყურით გაიგონა, ისა სთქვა, და რაც ნახა თავის თვალით, ის აღიარა!..

და რა მასი ბრალი იყო!?. რათ აძალებდნენ ღვინოს!.. მაგრამ მეც რომ ვეკითხები, რათ აძალებდნენ-თქო?!. იმიტომ აძალებდენ, რომ კარგი ეგონათ.. და სანამდი განათლება თვალს არ აუხელს ჩვენს ხალხს, ამ ჩვეულებას ვერ მოეშლით! ვერ გადავაგდებთ! — სწავლა გვეჭირვება და განათლება, რომ სიზარმაცესა და დაუდევრობას თავი როგორმე დავახწიოთ, თორემ ტყუილია ჩვენი საქმე,—მამები შვილებს ვერ მოუელიან და შვილები მამებს ველარ იწამებენ... ბევრიც რომ ეცადონ ჩვენმა მამებმა, დილიდან საღამომდე რომ იყვირონ, ღარიბები ვართო, მაინც ველარ გაიმართლებენ თავს..

სულ ტყუილია!.. შეძლება გვაქვს, მაგრამ მოხმარება არ ვიცით. აბა რაც საქართველოში დაძალების დროს ღვინო იქცევა და ილევა, ის რომ მოვაგროვოთ და ფულად ვაქციოთ, ისიც ეყოფოდათ ჩვენ შვილებს გამოსაზრდელად. მაგრამ ამაებზე რათ დავფიქრდეთ და რათ ავიტკივოთ უტკივარი თავი. სად მამები და სად შვილები, ჩვენ აქ ქეიფი გვინდა—ვქეიფობთ და იქ რას ჩადიან ჩვენი შვილები, რა ჩვენი საქმეა...

მაგრამ მაინც ურიგო კი არ იქნება, რომ აქ ორი სურათი წარმოვიდგინოთ მამებისა და შვილების შესახებ..

აქ მშვენიერი დღეა... სწორეთ საქეიფოს რომ იტყვიან, მისთანა! შეყრილან მამები და ნადიმი აქვსთ.. ერთი მოლხენა, ერთი კიჟინა! დალიე! დამალევიე! გადღეგრძელოს, გაამოს და სხ. ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ და დედა-მიწა ქალამნად. ბედნიერებას აბურთავებენ.., კეთილი და პატიოსანი! რატომაც არ მოილხინონ? მაგრამ იმავე დროს... შორს... იქ... სხვა რამესა ვხედავთ: ერთს პატარა ოთახში სარეცელზე აგდია მომაკვდავი ახალ-გაზდა და სალოდავათ ქშენავს. იქვე ორი სხვა ახალ-გაზდაც მწუხარებისაგან ატანილები თვალ-ყურს ადევნებენ. მუქთი ექიმიც, მათსავით ახალ-გაზდა, იქვე არის და ეკითხება ამხანაგებს:

ნამეტანი სიცივეა და რატომ არ გაათბობინებთ ოთახს?

— გავათბობინებთ კი არა, სახლიდანა გვყრიან.

— წამალი ხომ დაალევინეთ?

აქ მამები სწორეთ იმ დღეს ნადიმათ ისხდებიან და იმღერებენ; მრააავალ ჟააამიერ! მრააავალ.. და სხ... აქ დასძახებენ... მააადლობელიიი ვართ! მააადლოობეეელი! და სხ... ეჰ, რაღა ბევრი ვილაპარაკოთ! ნეტავ ესეც არ მეთქვა! რათ ვამბობ და ვისთვის? ვინ შეისმენს, ვინ გაიგონებს? მაშ შენც გამეარდი კალამო ხელიდან. ეჰ!

აკაკი

სიამოვნებით იგონებს და სიყვარულით იხსენიებს.—სხვათა შორის ამის მიზეზი ისიც არის, რომ ეგ ჩვენგან შორს არის,—ასეა თუ ისე, ეგ ერთი მაინც არის ღირსეულად დაფასებული და ეს ჩვენთვისაც, ყველასათვის სანუგეშო და სასიხარულოა.—მაგრამ აქაც კიდევ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: ზოგჯერ ხალხს მოსწონს რომელიმე მოჩვენებული ღირსება და ნამდვილს კი უყურადღებოთა სტოვებს.—ასე იქცევა ბატ. პეტრიაშვილის შესახებაც...

«ბატ. პეტრიაშვილმა მიიღო პროფესორობა და მით ჩვენდა სასახელოდ დაუმტკიცა ყველას, რომ ქართველები არ არიან უნიჭო და შეუძლიანთ სწავლა-განათლების მეცნიერულად მიღებაო. ეს, მაინც-და-მაინც, დიდი ქება არ არის პროფესორისათვის... განა დამტკიცებაც ეჭირვება იმას, რომ ჩვენი ხალხი ნიჭიერია? და აქამდისაც ცხადი არ იყო ყველასათვის?.. ამისათვის მაღალი სასწავლებელი რა სამაგალითოა, როდესაც უბრალო, უმეცარი მოსამსახურეები სამზარეულოში თავის თავათ გაიკვეთენ ხოლმე «ანა-ბანას» და ბოლოს მწიგნობრები ხდებიან და ან საზოგადოთ ვინ არის ჩვენში, რომ სწორ გზაზე მდგარიყოს განათლებისა და მერე არ შეეძინოს თავის-თავად? მართალია, მეცნიერებასა და ხელოვნებათ არც საზღვარი აქვს და არც საკუთრება იციან, ყველას საზოგადოდ ეკუთვნიან, მაგრამ სამშობლო, საკუთარი ნიადაგი კი აქვსთ და აი ეს უკანასკნელია სასახელო საეროდ. ბატონი პეტრიაშვილი შორს ჩვენგან, მაღალ სასწავლებელში უმოძღვრებს ახალ-გაზდობას, ასწავლის ქიმიას სახელოვანად და ჩინებულად. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საკუთრად ჩვენ რაო?.. ცოტანი არიან გამოჩენილნი მეცნიერნი? მაგალითად ავიღოთ, გინდ, ბატ. მენდელეიევი: ისიც იმ გვარსავე მაღალ-სასწავლებელშია მოძღვრად, ასწავლის იმ გვარსავე საგანს, როგორც ბატ. პეტრიაშვილი და იმავ ენაზე. ამისათვის ჩვენ იმას პატივის ცემით ვიხსენიებთ და მხოლოდ ამითი თავდება ჩვენი და მისი დამოკიდებულობა!.. მაშინ როდესაც პეტრიაშვილი ზედ დამატებით კიდეც გვიყვარს და განუშორებლად გულში გვიზის!.. მაშ, ცხადია, რომ აქ სხვა მიზეზიც უნდა იყოს რამე! სხვა გვარი სამსახურიც უნდა მიუძღოდეს რამ ჩვენის ქვეყნის წინაშე! დიახ!.. და მეცა მსურს, რომ პირ-და-პირ იმ ღირსებას მივითითოთ:—ეს ოცი წელიწადია, რაც ეგ ჩვენ ახალ-გაზდობასა სწვრთნის, თვალ-ყურს ადევნებს და მაგისაგან კეთილად დამოძღვრილი ჩვენი ახალ-გაზდები, ჩვენ ქვეყანაში, თუ სამუდამოდ ვერა, რამოდენიმე წლის განმავალობაში საწალმართოდ შრომობენ.—და ეს ისეთი დავალება ქვეყნისა, რომ ჯერ-ჯერობით ამაზე უდიდესს სამსახურს ვერავინ გაუწევს ჩვენს სამშობლოს... ამისათვის მე ვსვამ დღეს ბატ. პეტრიაშვილის სადღეგრძელოს!.. კურთხეულ იყოს მაგისი შრომა, როგორც მეცნიერისა თავის-თავად და როგორც ჩვენის ქვეყნისთვის სასარგებლო მშრომლის დღეგრძელობასაც ვისურვებთ, რომ ჩვენმა ახალ-გაზდობამ, იმ კეთილმა ნორჩმა, მაგისაგან ჯეროვანად გასხვლილმა, ჩვენს ნიადაგში მაგრად ფესვი გაიდგას ნაყოფის მოსატანად.

აკაკი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ყვირილა, 30 სექტემბერი. ჩვენი დაბა ყვირილა მოკლებულია ამ ჟამად ყოველ გვარ სანიტარულ ყურადღებას, თუმცა „ოდესმე" აქაც არსებობდა სანიტარული კომისია, მაგრამ დღეს ცოცხალია იგი, თუ მკვდარი კაცმა არ იცის, რადგან მისი მოქმედება სრულიად უჩინარია დღეს.

მოგეხსენებათ, რომ «შავი-ქვის» გადმოსატანად მადნებიდგან დ. ყვირილაში რამოდენიმე ათასი და ორი ათასი ყოველ გვარი ოთხფეხი პირუტყვი და საქონელი მორეკეს აქ; ეს ამდენი პირუტყვი შიმშილისაგან და თან „ულმერთო" ჯაფისა და შრომისაგან უდროვოდ იხოცება და მთელს დაბაში ერთ ცარიელ ალაგს—მოედანს ვერ იპოვნით, რომ მკვდარი კამეჩი, ვირი ან ცხენი არ ეგდოს და ძაღლები არა სწიწკნიდნენ. განა რა დიდი ამბავი უნდა, პოლიციამ უბრძანოს, ვისიც ჯერ არს, და გადაათრიონ ქალაქ გარეშე მძოვრი პირუტყვისა, მაგრამ შენც არ მომიკვდე: მანამ ამას მოახერხებენ აქაურები, მკვდარის საქონლის მძოვრი უკვე იხრწნება და მყრალის, მოწამლულის სუნით იწამლება და ფუჭდება ჰაერი, რომელიც ისედაც მოწამლულია და გაფუჭებული „შავის ქვის" საშინელის მტვერისაგან.

დუქნების წინ დიდი ბინძურობა და უსუფთაობა ჰსუფევს, განსაკუთრებით იმათ დუქნების და სავაჭრო კანტორების წინ, ვინც „შავის ქვის კამპანიად" იწოდებიან; აქ თუ ცოტა ავდარია, კაცს არ მიესვლება, რადგან იქვე ცხენებს და ხარ-კამეჩს აყენებენ და ასაზრდოებენ. გარდა ამისა ეკკლესის გალავნის ახლოს, იქვე გალავნის კარებში იყო ცარიელი ადგილი, სადაც ხარ-კამეჩის დგომით და საზრდოებით ისე მოანაგვიანეს, ისე გააბინძურეს, რომ მლოცველს ყოველ გვარი სარწმუნოებრივი გრძნობა ეხშობა ამ ქუჩაზედ გავლის დროს. კიდევ რამდენს ალაგას არის დუქნების წინ მყრალი და წამხდარი წყლით სავსე ჭაობები და ტბები, რომელშიაც ღამით მაინც, თუ ფრთხილად არა ხარ, ყირამალა გადაბრძანდები, რადგან მთელ დაბას, ნავთის ამ გვარ იაფობის დროს, ერთი ფარანიც არ უდგია და არ უნათებს ქუჩებსა...

თითქმის შუა ქალაქშია რკინის გზის დეპო, საიდგანაც მილებით გამოდის ზედ უმთავრესს ქუჩაზედ ზეთიანი, მყრალი და წამხდარი წყალი, მაშინების ნაწმენდი, ტილოებით და ჭინჭებით სავსე. ამის გამო ქუჩის პირზედ ზაფხულ-ზამთრობით ზეთის და ქონის მორევი სდგას, რომელიც შიგ ჩამპალ და ჩაწეწილ ძველ ჭინჭებით და ტილოებით არის სავსე. ფოსტის ქუჩაზედ ადამიანს გავლა არ შეუძლიან, თუ პირი-სახე ცხვირ-სახოცით არ აიხვევთ და რამდენსამე წამს სუნთქვას არ შეიკავებთ. ქუჩის იქით-აქედ ნაპირებზედ ფეხის ადგილებია და სიმყრალის გამო საშინლადა ეწვალებით ფოსტაში მოსიარულენი ყოველ-დღე, მაგრამ მათი გაწმენდა ფიქრადაც არავის მოსდის. აქ ქუჩაზედ სცხოვრობს ბ-ნი გამომძიებელი და ის მაინც რატომ არა სცდილობს, რომ აქაურმა სანიტარებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. იქნება გამომძიებელს უფრო პატივი სცენ, თორემ სხვას მაინც არავის ახსოვს და არავის. ერთის სიტყვით, ისეთ ბინძურ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი დაბა, რომ თუ საიდანმე ჩვენს ქვეყანას ხოლერა ესტუმრა, პირველად, იმედია, დ. ყვირილას ესტუმრება, აქ მკვიდრად დაისადგურებს და მუსრს გაგვავლებს ყველას თავისის შეუბრალებელის ცელითა.

ამბობენ, დაბას თავისი დეპუტატები ჰყავს ამორჩეულიო. ნეტა რა ხალხია ეს ყვირილელი დეპუტატნი, ან და ნეტა თუ იციან, რა მოვალეობა აწევსთ მათ კისერზედ. ნუ თუ ასე გაჩერება და გულზე-ხელის დაკრეფაა ახლა ჩვენთვის საჭირო? ნუ თუ ამ დეპუტატებს არ შეუძლიანთ უპოლიციოთ თვითონ ითაონ რამე? ნუ თუ არ შეუძლიანთ გააწერონ ფული ვაჭრებსა და მცხოვრებლებს და ამ ფულებით ღამის გუშაგებიც დაიჭირონ, ფარნებიც დასდგან და ღამის სტუმრებსაც მოუკლან სურვილი ღამ-ღამე აქედ-იქით დაუპატიჟებლად ხეტიალისა? ჩემის აზრით, ერთი მოთავე უნდა ამას, თორემ ყველანი დიდის სიამოვნებით დასთანხმდებიან ამაზედ. და მოთავეობაც ჩვენი დეპუტატების მოვალეობაა ვგონებ და არც უარი უნდა სთქვან. თუ ასე არ მოვიქცევით, ისე თქვენს მტერსა და დუშმანს, რაც უყურადღებობის გამო, ჩვენ მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნული. ყველაფერი ზემოხსენებული ძრიელ ადვილი შესასრულებელია, როგორც ჩვენის მხრით, ისე ბბ. დეპუტატების მხრითაც...

მოგეხსენებათ, რომ შავის-ქვის წარმოებამ ძლიერ ბევრი სხვა-და-სხვა ტომისა და სარწმუნოების ხალხი დაჰხვია დ. ყვირილას. ამათ თან მოჰყვნენ, როგორც თაფლს ბუზი, ესრედწოდებულნი «სათოკეებიცა». ავის ზნისანი და უსაქმურნი კაცნი მრავლად მობრძანდნენ დ. ყვირილაში ვითომ მარგანეცზედ სამუშაოდ, ნამდვილად-კი ქურდობისა და ავაზაკობის მეტს არას აკეთებენ. რა ქვეყნის კაცი გინდა, რომ აქ არა ნახო. ხოლო რას აკეთებენ ეს ვაჟ-ბატონები, ან რას სჩადიან, ვინ იცის, და ან ვინ ჰკითხულობს? ვინ არის აქ ბილეთის მომთხოვნელი? ვინ დაგიშლის აქ ცხოვრებას? თუ გინდ ციმბირიდგან იყავ გამოქცეული, აქ მაინც შეგიძლიან თავი შეაფარო, რადგან ხმას არავინ არ გაგცემს.

ამ დღეებში აქ ორი და სამი ქურდობა მოხდა ზედი-ზედ ერთს აქაურს ვაჭარს ივ. რ—ლს 500 მანათი ჯიბიდგან ამოაცალეს. გუშინ ა—ძის სასტუმროში მდგმურები აზ. ს—ლები გასწმინდეს ყოვლის ფრიდგან. ვერცხლის ქამარ-ხანჯლები, ძვირფასი ქუდები და ერთი ცხენიც წაიყვანეს და წავიდნენ, მაგრამ ვინ არის მდევარი, ყურადღების მიმქცევი?!. ამას წინედ იმავე სასტუმროს პატრონს ა—ძეს ორი ცხენი მოჰპარეს. ჯერ ერთი დაჰკარგა. იმის მოძებნა ვერ მოასწრო, რომ მეორეც ზედ მიაყოლეს. წარსულს კვირას კიდევ ცხენი მოიპარეს და ერთი დუქანიც გასტეხეს, მაგრამ... მაგრამ და მაგრამ. ამბობენ აქ ზოზიერთები, რომ თითქო მთელი „კომპანია" არის შემდგარი ქურდებისა ყვირილაშიო, ეს კომპანია აგენტების შემწეობით იპარავს და ჰგზავნის ცხენებს სხვა-და სხვა ქვეყნებში; თვითონ კი აქვე დაბრძანდებიან შავი-ქვის მტვრით განგებ შემურულნი, თითქო მართლა მარგანეცზედ მუშაობდნენო და ძალიან მოსაქმე ხალხნი იყვნენო.

თანო ხანიაშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბოლგარიის საქმე დღეს ჩვენთვის ცხადიაო, ამბობს გაზეთი „Московскія Вѣдомости": ბოლგარია, ოსმალეთის ტყვეობიდამ განვათავისუფლეთ და დღეს უფრო უარესს დღეში კი ჩავარდაო.

> უნდა გამოვსტყდეთო,—ამბობს გაზეთი, რომ ჩვენა ვართ ბრალნი და არა ბოლგარები, ჩვენა ვართ პასუხის მგებელნი, რომ ბოლგარია დღეს ასეთს მდგომარეობაში ჩავარდა. რუსეთის ბრალი არ იყო, რომ ამ რამდენისამე საუკუნის წინად ბოლგარია ოსმალეთის ხელში ჩავარდა, მაგრამ დღეს კი უნდა პასუხი აგოს რუსეთმა, რომ დასავლეთ ევროპამ თავის გაიძვერობით ბოლგარიას ხელი ჩაჰკიდა. მაგრამ რუსეთს მაინც არასოდეს ნება არა აქვს ამ ქვეყანას თავი დაანებოს. დღეს, როდესაც ყველაფერი ცხადად და საქვეყნოდ გამოაშკარავდა, სამწუხაროდ, ჩვენ იმითაც ვეღარ გავიმართლებთ თავსა, რომ ბოლგარები უმადურნი და მოღალატენი არიან და ამიტომ ღირსნი არ არიან, რომ იმათთვის ვიზრუნოთ და თავი შევიწუხოთო. არა, ეს დღეს შეუძლებელია, ბოლგარიაზე ხელს ვეღარ ავიღებთ და ვერ ავიღებთ არა იმიტომ, რომ ბოლგარიის დიდი სიყვარული გვაწუხებდეს,—არა, ბოლგარიის ხელ-მეორედ განთავისუფლება უცხოს ხელიდამ და ჩვენი ფეხის-მოკიდებაა აღმოსავლეთში საჭირო რუსეთის სახელის და დიდების აღსადგენად. ეს უფრო მეტად საჭირო და აუცილებელი საქმეა ჩვენთვის, ვიდრე თვით ჩვენის საზღვრების ხელ-შეუხებლობა.

* *

გუშინ ჩვენს მკითხველებს გავაცანით იტალიელი ცუკკი, რომელმაც ოც-და-ათი დღე უსაჭმლოდ გასძლო. ცუკკი წყალს მაინცა ჰსვამდა და აი დღეს პეტერბურგში აღმოჩენილა ერთი უცნაური, 87 წლის ბებერი, რომელსაც ორმოც-და-ათი დღე პირში არა ჩაუშვია რა. ორმოც-და-ათს დღეში მხოლოდ ნახევარ ჭიქა რძე დაულევია და სხვა მეტი არაფერი. უბედურს მოხუცს საყლაპავი შეჰკვრია და პირში წყალსაც ვეღარ უშვებს თურმე. საკვირველი კიდევ ის არის, რომ თითქმის ბოლოს დღემდე ეს კაცი ფეხზე დადიოდა, ნაცნობებში და სტუმრებში სიარულს არ იშლიდა და მხოლოდ ამ უკანასკნელ დღეებში ჩაწვა ლოგინად.

საკვირველია, რომ ექიმებს სრული გულ-გრილობა გამოუჩენიათ და არაფერი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ყოვლის მხრივ შესანიშნავ ავად-მყოფისთვის. აი გაზეთი „Новости" რას მოგვითხრობს:

> მიიყვანეს ეს ავად-მყოფი ერთს სამკურნალოში. მორიგე ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და უპასუხა ნათესავებს, რომლებიც ავად-მყოფს თან მიჰყვნენ:
>
> — ეს ავად-მყოფობა ჩვეულებრივია, დიდის ყურადღების ღირსი არ არისო.

წაიყვანეს თურმე მეორე სამკურნალოში. ექიმებმა აქ სულ სხვა აზრი წარმოსთქვეს: ავად-მყოფობა მართლა ძალიან იშვიათია და დიდის ყურადღების ღირსიც არისო. გადასწყვიტეს კიდეც, ავად მყოფი სამკურნალოში დაეწვინათ. ამ დროს მორიგე ექიმი ჰკითხავს ავად-მყოფს:

> — რამდენი წლისა ხარო?
>
> — ოთხმოც-და-ჩვიდმეტისა.
>
> — მაშ, უკაცრავად, სამკურნალოში ვერ მიგიღებთ.
>
> — რატომ?
>
> — იმიტომ რომ ჩვენი სამკურნალო 70 წელზე ზემოდ ავად-მყოფს არ იღებს.

წაიყვანეს მესამე სამკურნალოში. ექიმები ბლომად მოგროვდნენ, გაიკვირვეს ამ უცნაურის ავადმყოფის ამბავი, მაგრამ მაინც ბოლოში მოიხადეს რომ სამკურნალოში ვერ დაგაწვენთო.

> — რატომაო,—იკითხა საწყალმა მოხუცმა.
>
> — უნდა მოგახსენოთო, რომ თქვენ გაჭრა დაგჭირდებათ და ჩვენ კი საამისოთ საჭირო იარაღები არა გვაქვსო.

გვაკვირვებს ეს სამკურნალოს წესები და უფრო კიდევ მეტად გვაკვირვებენ ექიმები: ასეთი იშვიათი, საყურადღებო ავადმყოფობა და ასეთი გულ-გრილობა, უყურადღებობა ექიმების მხრივ...

რუსეთი

— ერთ დღეს აი რა ამბავსა სწერს გაზ. „Pastimees-ს": აქ ამას წინად უეცრად გარდაიცვალა ერთი მჭედელი. მოგროვდნენ ნათესავები და ნაცნობები გარდაცვალებულის დასამარხავად. გარდაცვალებული ჩაასვენეს კუბოში და როცა სასაფლაომდე მიიტანეს, ამ დროს კუბოს თავი გაიხსნა და მიცვალებულმა ცალი ფეხი გარეთ გამოჰყო. ყველას შიშის ზარი დასცა ამ ამბავმა, დააგდეს კუბო, აქედ-იქით გაიფანტნენ და შორიდამ დაუწყეს თურმე შეშინებულებმა ცქერა. ამ დროს მჭედელი წამოდგა კუბოდგან და გაშტერებული დაიწყო ყურება: ეს სადა ვარო. გაიარა თურმე რამდენმამე ხანმა, ვერავის გაებედნა მიცვალებულთან ახლო მისვლა. ბოლოს მღვდელმა გაბედა და ახლო მივიდა მჭედელთან, რომელიც კინაღამ არ დამარხეს ცოცხალი [illegible] ძილის დროს.

— მოსკოვის სამოსამართლო პალატაში ამას წინედ გაურჩევიათ ერთი სასაფლაოს ყარაულის საქმე. სასაფლაოს ყარაულს ის დანაშაული ჰბრალდებოდა თურმე, რომ სასაფლაო გაეთხარა, მიცვალებულისაგან წაღები წაეძრო და 2 მან. და 70 კაპ-ად გაეყიდნა. სასაფლაოს ყარაულს საკალასა და მის ხელ-ქვეითს რისკისთვის, რომელიც აგრეთვე რეულა ამ საქმეში, სასამართლოს კატორგა გადუწყვეტია: პირველისთვის 8 წელიწადი და მეორესათვის 6 წელიწადი.

— პოლტავაში ერთი შეძლებული ვაჭარი გაუქურდავთ. აგვისტოს გასულს ოდესსიდამ პოლტავაში მისულა ერთი ლამაზი ქალი გ. და გამოუცხადებია, რომ მინდა რომელსამე ოჯახში უმაწვილების აღმზრდელად შევიდეო. ეს ქალი ერთს ვაჭარს მიუწვევია თავის ოჯახში. ამ ვაჭარს, რამდენისამე შვილის მამას და ცოლიანს, ძალიან მოსწონებია ეს ქალი და არშიყობა დაუწყია. ორი კვირა გასულა მას შემდეგ, რაც ეს ქალი ამ ვაჭრის ოჯახში შესულა, და ვაჭარი თურმე გიჟდება სიყვარულით. უმაწვილებს შეუჩივლიათ მამისთვის, რომ ჩვენმა აღმზრდელმა ქალმა არაფერი იცისო და არაფერს გვასწავლისო, მაგრამ მამას ყური არ უგდია ამ ამბისთვის. ისე მოჯადოებია ამ ქალს ვაჭრის გული, რომ ვაჭარს ისიც კი უთქვამს, თუ სადა ჰქონია შენახული ფული, ვექსილები და სხ. თავის ქონება. 22 სექტემბრის საღამოს ამ ქალს ვაჭრისთვის უთხოვნია, რომ [illegible] მომეც „კანტორაში" დავიძინოო.

შეყვარებულს გაჭირს გუშინ ვერ ავუდია და ნება მიეცა. მეორე დღეს აღმზრდელი ქალი ვეღარ უპოვნიათ სახლში და ამასთან შეუნიშნავთ, რომ შერჩეულის გასვლებით ფულის ყუთი [illegible] გატეხნია და 3,000 მანეთის კრედიტული და ფული გაუტანია. სტოლზედ შემდეგის შინაარსის ბარათი დებულა: «ნუ დაიჭერ შენის ქალიშვილებისთვის, ცოდვილო, ახალ-გაზდა აღმზრდელს-ქალსაო» ამ საქმეზე სასტიკი გამოძიებაა თურმე ეხლა დანიშნული.

უცხოეთი

ბოლგარია. პეტერბურგლები იმედს არა ჰკარგავენო, ამბობს „Моск. Вѣд.“-ის ერთი კორრესპონდენტი. საიდანა აქვსთ ეს იმედი და ან გაბედულობა, ძნელი სათქმელია. ინგლისის აგენტები ამბობენ, რომ ჯერ კიდევ სრული იმედი არ არის დაკარგული, თუ გენერალ კაულბარსს როგორმე მოატყუებთო. თუ გინდა თვითონ სარეგენტო მთავრობამაც ვერ გაჰბედოს პირ-და-პირ პეტერბურგის სასარგებლოდ მოქმედება, იმდენი დაფარული აგენტები ჰყავს, რომ ისინიცა ჰკმარიანო.

— გაზ. „Journal des Dèbats“-ის სიტყვით ოფიციალურს წრეებში მალიან შიშობენ, რომ კაულბარსი ბოლგარიის სხვა-და-სხვა ადგილებში დადის, იმის სიარულს შეუძლიან ხალხი აალელვოს.

გასართობი

ერთ ზემო ქართლელ თავადს სტუმრობა ჰქონია და სტუმრად სხვათა შორის მიტროპოლიტიცა ბრძანებულა. ლაპარაკი მეურნეობაზე ჩამოვარდნილა.

— ზაფხულში, გვთქვათ, მუშაობაში ატარებთ დროსა, მაგრამ ზამთრის დიდ ღამეებს უწიგნებოთა და უგაზეთებოთ როგორა სძლებთო, უკითხავს მიტროპოლიტს.

— ქალები ბუმბულს არჩევენ და ჩვენ კაკალს ვამტვრევთო, უპასუხნია თურმე იასე თაქთაქიშვილსა.

* * *

შამილი რომ პეტერბურგში ახალად ჩაიყვანეს, იმპერატორმა ბრძანა თურმე, რომ რაც შესანიშნავია ჩვენ ქალაქში და შამილს ჯერ არ ენახვება, აჩვენეთო. რასაკვირველია, იმპერატორის ბრძანება მაშინვე აასრულეს. ამის შემდეგ ერთხელ იმპერატორი შეხვდა შამილს და მოწყალებით ჰკითხა:

— რა ნახე, რა მოგეწონა და ან რა გაგიკვირდაო.

— მეფეთ მეფევ, გაბედავთ და მოგახსენებთო, უპასუხა შამილმა, რომ მოწონებით არა მომწონებია-რა, მხოლოდ ერთი რამ კი გამიკვირდა და ეხლაც მიკვირსო.

— რა გაგიკვირდაო, ჰკითხა იმპერატორმა.

— ჩემი აქ ყოფნა, დიდო მეფეო!

ერთს მოხუცებულს თავადიშვილს დიდრონი კამბეჩები ჰყვანდა. ეს კამბეჩები ამ მოხუცის ძმას-წულის სათივეზედ მისულიყვნენ და თივის ჭამა დაეწყოთ. მეორე დღეს ბიძა და ძმის-წული შეჰხვდნენ ერთი-ერთმანერთს თურმე.

— ბიძაჩემო, რა უბედურებაა, ღმერთს გეფიცები! რაღაცა ახმახი კამბეჩები გყავს, სათივეზედ თივა არ დამიტოვესო, შესჩივლა ძმის-წულმა.

— რა ვქნა, ძმაო,—გაბრტყელებით უპასუხა ბიძამ—ეგენიც კომუნისტები არიანო.

* * *

დეპეშა

3 ოქტომბერს

პეტერბურგი. „დებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის თაობაზედ, რომ დაარსდეს სასულიერო სემინარიებში კათედრა რუსეთის მწვალებლობის (расколъ) ისტორიისა გასამტყუნებლად და გასამხილებლად მწვალებელთა ცრუ-მორწმუნეობათა.

პარიჟი. მთავრობამ დეპუტატთა პალატას წარუდგინა კანონ-პროექტი სამხედრო ფლოტის გადაკეთებისა. ამ საქმეს მოუნდება ხარჯად 140 მილიონი ფრანკიო.

ლონდონი ინგლისის ვიცე-კონსული რუშჩუკში სწერს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ სრულიად უსაფუძვლოა ის ამბავი, ვითომ საერო კრებაზე რუშჩუკში წაეკითხოთ დეპეშა პრინცის ბატტენბერგისა და პრინცს აღეთქვას, დავბრუნდები ბოლგარიაში, თუ საერო კრებამ ხელ-მეორედ ამომირჩია მთავრადაო; უსაფუძვლოა აგრეთვე, ვითომ იმავ კრებაზე ინგლისის კონსულს ერჩიოს ხალხისათვის, წინააღმდეგობა გაუწიეთ რუსეთის სურვილსაო; რომ ვითომ მაგ ნაირი კრება სულ არც-კი ყოფილა და თვით მითქმა-მოთქმა დეპეშაზე, რომელიც ვითომ პრინცმა ალექსანდრემ გამოგზავნა, მოგონილი სიცრუეაო.

ბერლინი. პარიჟიდამ იწერებიან, ვითომ კარაველოვის ცოლმა იმდენად იმოქმედა თავის ქმარზე, რომ ეს კაცი ამ ჟამად რუსეთის მიემხროვო.

4 ოქტომბერი

პეტერბურგი. „Journal de St.-Pètersbourg“-ი ლაპარაკობს იმ პასუხზე, რომელიც ბოლგარიის მთავრობამ მისცა რუსეთის ნეკლიუდოვის ნოტების გამო და ამბობს, რომ ისინი, ვინც თვით-ნებობით წარიტაცეს ქვეყნის გამგეობა ბოლგარიაში და მხოლოდ ბრიყვულს ძალას დამყარებიან, საკონსტიტუციო კანონიერების საფარველ ქვეშ იმალებიანო, რათა ამ გზით განაგრძონ დიდხანს უკანონო გამგეობა ქვეყნისაო. ამ გამგებელთ აარჩევინეს ერს კრება იძულებითა და ძალა-დატანებით, მაშასადამე, ისეთი კრება, რომელიც ერთგული ყმაა მათი. ამ გვარს კრებას ეუბნებიან, შენა გაქვს მხოლოდ მონიჭებული უფლება გადასწყვიტო არჩევანები კანონიერია თუ არაო, ის არჩევანები, რომელმაც დაჰბადა კრებაო. იმავე კრებას ეუბნებიან, რომ შენვე გაქვს უფლება დაამტკიცო ხელმწიფება (власть) მთავრობისა, რომლისაგანაც პირ-და-პირ წარმოსდგა თვით კრებაო. ამ გვარ გამგებლებთან ლაპარაკი და კამათობა შეუძლებელია, მაგრამ იმაც შეუძლებელია, რომ ბოლგარიის ბედი, რომელზედაც დამოკიდებულია მშვიდობიანობა აღმოსავლეთისა და საერთო ზავი, ასეთ უმწვარვალესთა მოძღვრებათა მქადაგებლების ხელში იყოსო.

პარიჟი. ოფიციოზური გაზეთი „Temps“-ი ამბობს, რომ ტყუილად აბრალებს ინგლისის მწერლობა საფრანგეთს, ვითომ ამ ქვეყანას ვისიმესა და რისისამე დაპყრობის სურვილი ჰქონდესო. გაზეთი ამბობს, რომ, მართალია, საფრანგეთს დიდი ძალა აქვს თავის-თავის დასაცველადაო, მაგრამ ომს და ისიც ზედ-მისევის ომს-კი ერიდებაო და უცხო სახელმწიფოებთანაც არავითარი ფარული მოლაპარაკება არა აქვსო. დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ, სამწუხაროდ ინგლისის მიზეზით, საფრანგეთი და ეს ქვეყანა თან და თან უფრო და უფრო ვერა რიგდებიანო.

საკალენდარო ცნობანი

ოქტომბერი 31 დღით არის.

5 დღე კვირა. ქალწ.-მოწ. ხარიტონისა. ღირს. გრიგოლ ხანძთ. სომეხ. მეოთხე კვირა ამაღლებითგან. დაბადება მ. უმ. მარიამ ალექსანდრეს ასულისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45—24. ტფილისში მზე ამოდის 6—14, ჩადის 5—16; მთვარე ამოდის 8—30, ჩადის 9—50.

6 დღე ორშაბათი. წმ. თომა მოციქულ. კათოლ. წმ. ალმს. ბრუნონისა. სომეხ. წმ. ფოკასი და ერანისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45—12, ტფილისში მზე ამოდის 6—16, ჩადის 5—14; მთვარე ამოდის 9—27, ჩადის 10—48.

გამოსადეგი ცნობანი

30 სექტემბერს პეტერბურგის ბირჟაზე შემდეგს ფასად ისყიდებოდა:

	მან.	კაპ.
ხუთ მანათიანი ოქრო. .	8	—60
ტამოჟნის კუპონები. . .	167¼	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთ	228	— „
— მეორისა. . . .	222	— „
6% გირავნობის ფურცელი ტფილისის ბანკისა	97	— „
— — ქუთაისის ბანკისა	97	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ფურცლები	86½	— „

პეტერბურგის ბირჟის მდგომარეობა: სავექსელო კურსის დაწევამ დააფიქრა ბირჟა.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი.	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები. .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი. .	10	29	10	31	ნიგოითი. .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი.	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	ხაშური . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	გორი . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3	»
» » 2 »	2½	»
თონის წითელი პური 1-ის ხარ.	4½	»
» » 2—	3	»
» » 3 »	2½	»
ჭვავის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	4½	»
მე-2 ხარისხისა . .	3½	»
მე-3 — . . .	3	»
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	»
« » 2	6	»
სუკი	13	»
ცხვრის ხორცი . . .	6	»

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მოიწვევს ბ-ნთ წევრთ მორიგ საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 7 ოქტომბერს, 7½ საათზე.

საგანნი განხილვისა:

1) საქმენი საზოგადოებისანი, 2) მოხსენება ბ-ნის ქალანთარისა კავკასიაში ისეთის სკოლის დაარსების თაობაზედ, რომელშიაც ასწავლიდნენ წველა-დღების წარმოებასა, ყველისა კარაქისა და სხვათა ამ გვართა ნაწარმოებთა კეთებასა. (2—1)

კვირას, 5 ოქტომბერს
ალექსანდროვის ბაღში
წმ. ნინოს სასწავლებლის
სასარგებლოდ
დანიშნულია სეირნობა.

ბაღში დაუკრავს ზურნა და ორი ხორო სამხედრო მუზიკისა.

იმღერებს ორი ხორო რუსთა მომღერალთა. საღამოზე ბაღი მშვენივრად იქნება გაჩაღებული და შუშხუნებსაც აუშვებენ.

შუა და ქვეითი ბაღი დაიკეტება შუადღის უკან სამს საათზე.

სეირნობა დაიწყობა 5 საათზე.

ფასი შესვლისა ერთი აბაზია ყმაწვილების შესვლა ორი შაური ელირება. თუ ცუდი დარი იქნება, სეირნობა მეორე კვირისთვის გადიდება.

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირ-და-პირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე